საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL - NATIONAL FOOD AGENCY

№ 18 - 9 22 იანვარი 2015 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ვეტერინარული და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ

„სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის #2-3 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის და „ვეტერინარული სამსახურისა და ცხოველთა ჭერის საქმიანობისათვის საჭირო საქართველოში სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა გამოყენების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2014 წლის 28 მასის #2-107 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ვეტერინარული და ცხოველთა ჭერის საქმიანიობის განმახორციელებელი სამსახურების რეგისტრაციის წესი“ (დანართი №1);

2. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ვეტერინარული და ცხოველთა ჭერის საქმიანიობის განმახორციელებელი სამსახურების რეესტრის ფორმა(დანართი №2).
3. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტებმა უზრუნველყონ ამ წესით გათვალისწინებული საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ზაზა დოლიძე
სააგენტოს უფროსი

ქ. თბილისი 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6 ტელ/Tel: (+995 32) 29191 67 www.nfa.gov.ge
6 Marshal Gelovani Ave., Tbilisi 0159, Georgia ფაქ/Fax: (+995 32) 29191 65 info@nfa.gov.ge

დანართი № 2

„სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ვეტერინარული და ცხოველთა ჭერის საქმიანიობის

განმახორციელებელი სამსახურების რეესტრი

№	სამსახურის რეგისტრაციის ნომერი	სამსახურის რეგისტრაციის თარიღი	სამსახურის დასახელება	იურიდიული მისამართი	ფაქტობრივი მისამართი	სამსახურის საქმიანობა	საიდენტიფიკაციო მონაცემები	პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები	შენიშვნა

დანართი №1

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ვეტერინარული და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურების რეგისტრაციის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. ეს წესი არეგულირებს იმ ვეტერინარულ და ცხოველთა ჭერის საქმიანობის განმახორციელებელი სამსახურების (შემდგომში - სამსახური) რეგისტრაციისა და რეესტრის წარმოების წესს, რომლებიც თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებენ გარეულ და შინაურ ცხოველთა ანესთეზიას, იმობილიზაციას ან/და ევთანაზიას სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების გამოყენებით.

2. სამსახურის რეგისტრაციას ახორციელებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში– სააგენტო).

მუხლი 2. რეესტრის წარმოების წესი

1. რეგისტრაციისთვის სამსახური მიმართავს სააგენტოს განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს შედეგი სახის ინფორმაციას:

ა) სამსახურის დასახელება;

ბ) იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;

გ) საიდენტიფიკაციო მონაცემები;

დ) სამსახურის საქმიანობა;

ე) უსაფრთხოების ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ (სპეციალურად დაცული ოთახი, სეიფი);

ვ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებათა და სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ ფარმაცევტულ პროდუქტთან გათანაბრებული სამკურნალო საშუალებების მიღება, შეძენა, გაცემასა და გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობას და საკონტაქტო მონაცემებს.

2. სააგენტო 3 დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებთან. თუ წარმოდგენილი განცხადება არ აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, სააგენტო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას ხარვეზის გამოსასწორებლად, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 15 დღეს, რომლის დროს რეგისტრაციის ვადის დინება ჩერდება.

3. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს ან ინფორმაციას, სააგენტო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

4. თუ განცხადება აკმაყოფილებს ამ მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს, სააგენტო უფლებამოსილია გადაამოწმოს განცხადებაში წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე.
5. განაცხადის შემოტანიდან 15 დღის განმავლობაში სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას სამსახურის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის თაობაზე.
6. რეესტრი უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:
ა) სამსახურის რეგისტრაციის ნომერს;
ბ) სამსახურის რეგისტრაციის ვადას;
გ) სამსახურის დასახელება;
დ) იურიდიული მისამართი;
ე) ფაქტობრივი მისამართი;
ვ) სამსახურის საქმიანობა;
ზ) საიდენტიფიკაციო მონაცემები;
თ) პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები;
ი) შენიშვნა.
7. რეესტრში ყოველ სამსახურს ენიჭება შესაბამისი ნომერი, რაც განისაზღვრება სააგენტოსადმი მიმართვის რიგითობით.
8. სააგენტოს მიერ წარმოებული რეესტრი არის საჯარო, რომელიც განთავსებულია სააგენტოს ელექტრონულ რესურსზე.